

# გრიგოლ რობაეპის სახელობის უნივერსიტეტი

ლანდა ლურსმანაშვილი,  
ზურაბ აღხანიშვილი,  
ნატო ომარაშვილი,  
ფირუზ თამაზაშვილი,  
ნინო გვასალია,  
ნინო არაბული,  
ხათუნა ხუციშვილი,  
შოთა თევდორაზე

## პირველადი სამეცნიერო დასეარეგა

(სტუდენტური კვლევითი პროექტი)



გრიგოლ რობაეპის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა

სტუდენტთა კვლევითი პროექტი „პირველადი სამედიცინო დახმარება“ მომზადა უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე შემდეგი სტუდენტების მონაწილეობით: ლანდა ლურსმანაშვილი, ზურაბ ალხანიშვილი, ნატო ომარაშვილი, ვირუს თამაზაშვილი, ნინო გვასაძია, ნინო არაბული. ამკრებულში წარმოდგენილია მათი ნაშრომები, რომელიც პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ყველა დაინტერესებულ პირს.

პროექტის ავტორი და კორდინატორი: მედიცინის დოქტორი,  
პროფესორი მარინა შაქარაშვილი

სამეცნიერო რედაქტორი: მედიცინის დოქტორი,  
პროფესორი მარინა შაქარაშვილი

grigol robaqiZis saxelobis  
universitetis gamomcemloba  
Grigol Robakidze University Press

© grigol robaqiZis saxelobis universiteti  
© Grigol Robakidze University

## Ց Օ Ւ Ա Ա Ր Ն Ո

ՄՈՒՆԱԾԻԾԿԱՐՔԸ	4
ԵԱՐԺՐՈՅԱՅՈՅԱ	5
ՄՊԱՀՄԸ ՀԱՅՐԵՐՈՅԸ	11
ՏՈՄԱԴԼՈՒ ԱՅԱՀԺՎՈՅՉՈՅԸ	12
ԹՐԱՒԵԽՈԼՈՅԸ	12
ԴԱՄՄՎՅՐՈՅԸ	14
ԹՐԱՎՈՅՆՅԱ	17
ԵԼՈՎՔԻՐՐՈՋԵԽՈՅ ՀԱԿՈԱԵՎԸ	19
ՏԵՍՎՈԼՈՒ ՑԱՇԱԽՇՐՈՒԸ ՀԱ ՏՈՄՑՇՐՈ ՀԱՎՑՐԱ	20
ՑՄԼՈՒ ՄԱՏՎԸ	22
ԱԿԱՑՈԼԱԺՏՈՎՇՐՈ ՑՐԱՅՈ	23
ՏՈԼԵՖՈՆ ՏԵՍՎԸ	23
ՑԱՑՈՅԸ	26
ՏԱՅՑՈՒ ՏՎՈՒՅՅՈ ՏՈԼԵՖՈՆՈՒ ՑՈՅՑԼԱ	26
ՑՐՈՂԱՑՏՈ	28
ԱՌՋՎԵԼԱԳՈ ՀԱԵՄԱՐՎԸ ՀԱՑԱՅԵՑՈՒ ԾՐՈՂԵ	29
ՄՄՑԱՑԵ ՑՐՄԱՑՑԼԱ	29
ՑՑԵԼՈՒ ԵԱՑԵԽՈ	31
ՄՏԵԱՑՈՅ ՄՄՎՐՈՒ ՀԱ ՄՐՐՈՎԵԼՈՒ ԵԱՑԵԽՈ	32
ՏԵՐԿՈՄՈՅ ՄՐՄԽԱՑՅԱ	32
ՐԵԱԿՈՄԱՅՈՅ	33
ՑՄԼՈՒ ԺԱՏԱՅՈ	34
ՏԵԼՈՎՑԵՎՐՈ ՄՎԵՈՎՅԱ	36
ԵԼՈՎՔԻՐՐՈՒԵՐՅԱ	37
ՏԱՄԼԱԿԱՅՈ ՑՈԼՈՏԱ ՀԱ ՑՇՑՈՒ ՑԵՎԼՈՒ ԾԱՄՄՎՅՐՈՅԸ	38

## შინასიტყვაობა

ცხოვრების მანძილზე ნებისმიერ პიროვნებას უწევს ისეთ ექსტრემალურ მდგომარეობაში მოხვეხდრა, როდესაც მისი ახლობელი ან უცხო პირი იმყოფება კრიტიკულ მდგომარეობაში და მისი სიცოცხლის გადარჩენა მოითხოვს გადაუდებელ, სასწრაფო დახმარებას.

სამწუხაროდ ჩვენი საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი ფლობს პირველადი დახმარებას შეთოდებს. აღნიშნული კი ვანაპირობებს დაზარალებული პირის მდგომარეობის დამძიმებას და მისი სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში არაეფექტურს ხდის კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული პროექტის მიწითად მიზანს წარმოადგენდა უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ პირველადი დახმარებას შეთოდების ათვისება, შემდგომ კი სასწავლო – საინფორმაციო მასალის მომზადება და გავრცელება.

წარმოდგენილი სასწავლო-საინფორმაციო მასალა შესრულებულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტომატოლოგიური ფაკულტეტების მესამე კურსის სტუდენტების მიერ. ნაშრომებში განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები როგორიცაა ხელოვნური სუნთქვა, გულის მასაჟი, პირველადი დახმარება დამწვრობის, მოყინვის, მოწამელის დროს და სხვა.

საინფორმაციო მასალა ხელს შეუწყობს გადაუდებელი, პირველადი დახმარების ბაზისური ცოდნის და მეთოდების ათვისების პოპულარიზაციას საზოგადოების ფართო წრებში, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესიონალი მარინა შაქარაშვილი

## ნარკომანია

მეცხრმეტე საუკუნის ბოლომდე ნარკოტიკები საერთაშორისო პრობლემას არ წარმოადგენდა, ვინაიდან, ის მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში იყო გაფრცელებული. ტექნიკის განვითარებამ შესაძლებელი გახდა თაიუმიდან და მცნარე კოკას ფოთლებიდან ახალი ალკალიდების დიდი რაოდენობით მიღება, ხოლო მიმოსვლის განვითარებამ - მისი მთელ მსოფლიოში გაფრცელება. მეოცე საუკუნიდან ნარკომანია გახდა საერთაშორისო პრობლემა, ვინაიდან ფართოდ გაფრცელდა საზოგადოებაში და ნათლად გამოჩნდა მისი უარყოფითი ოვისებების მრავალფეროვნება.

ამავე პერიოდში, სახელმწიფოების მიერ, დაისახა გზები კოლგებითი დონისძიებების გატარებისთვის, რათა დაეცვათ და გადაექრინათ მოსახლეობა ნარკომანიის დამდუცველი ზემოქმედებისგან. 1961 წელს მიიღეს ერთიანი საერთაშორისო კონვენცია ნარკოტიკებით ვაჭრობის შესახებ, სადაც გაშუქებულია კველა ის ასპექტი, რომელიც გააკონტროლებს მათი დამხადების და გასაძების აკრძალვას, თუმცა მაინც ვერ მოხედა ვაჭრობის არალეგალური ბაზრების ლიკვიდაცია.

ნარკომანია იმ დაავადებათა ჯგუფს ეკუთვნის, რომლებსაც ახასიათებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი პრეპარატებისადმი ავადმყოფური შეჩვევა. ის შეიძლება გამოწვეული იყოს ერთი რომელიმე ნარკოტიკული საშუალების მიღებით, იშვიათად აღინიშნება პოლინარკომანია – როდესაც ადამიანი იღებს ორ ან მეტი სახის ნარკოტიკს.

მათი მიღება ოგანიზმში იწვევს სხვადასხვა ავადმყოფურ ცვლილებებს. განსაკუთრებით ზიანდება ნერვული სისტემა.

ხანგრძლივი ხმარების შემდეგ ვთარდება:

1. ნარკოტიკული საშუალებების მიღების დაუმდევეველი მოთხოვნილება და მისი შოვნისადმი მისწრაფება (ფინქიცური და მოკიდებულება).
2. აბსტინენციური სინდრომი – ფიზიკური დამოკიდებულება, რაც მდგომარეობს შემდეგში: ავადმყოფს, რომელის არ მიიღებს მისოვის ჩვეულ ნარკოტიკს 6 - 18 საათის განმავლებაში, უვითარდება ე.წ. “შიმშილის მდგომარეობა”, მისოვის

დამახასიათებელი მრავალი ფიზიკური და ფსიქიკური ნიშნით.

3. ორგანიზმის შეჩვევა ნარკოტიკული პრეპარატების მიმართ, რის გამოც საჭირო ხდება დოზების თანდათან მომატება – ტოლერანციების აწევა.

ოპიუმის ნარკომანია განსაკუთრებულ კურადღებას იმსახურებს გავრცელების სისტერის და მძიმე შედეგების გამო.

ოპიუმი მიიღება ოპიუმის შემცველი ყაფხოსაგან, რომლის სამშობლოდაც მცირე აზია ითვლება. ცნობები ოპიუმის სამკურნალო მიზნით გამოყენების შესახებ, გეხვდება ანტიკური ხანის უდიდესი მედიკოსის, პიპოკრატეს შრომებში. მას შემდეგ ოპიუმი, როგორც ტკიფილგამაყუჩებელი საშუალება, დღემდე რჩება შეუცვლელ პრეპარატად. მორფინი მიიღება ოპიუმის ყაფხოსაგან და ის მეოცე საუკუნეში ეგონათ მხოლოდ ძილის მომგვრელი საშუალება, ამიტომ მას ძილის დმერთის, მორფეუსის სახელი დაარქვეს, მისი ნარკოტიკული მოქმედება გამომჟღავნდა მაშინ, როცა გამოიგონეს შპრიცი და შესაძლებელი გახდა მისი კანქვეშ შევვანა.

ოპიუმის პრეპარატები ადვილად იწვევს შეჩვევას. მათი სისტემატიკური მიღების შედეგად რამდენიმე კვირის, ზოგჯერ კი რამდენიმე დღის განმავლობაში გთავარდება ტოლერანციების აწევა, ადრინდელი დოზები ვეღარ იწვევს ეფექტს, მცირდება ტკიფილგამაყუჩებელი ეფექტი. წვეულ განცდათა მისაღწევად საჭირო ხდება დოზების მომატება. (ზოგჯერ ნარკომანები ერთჯერად იღებენ ნარკოტიკულ საშუალებას ისეთი დიდი რაოდენობით, რომელიც რამდენჯერმე აღემატება ჯანმრთელი ადამიანის სასიკვდილო დოზას).

ნარკომანთა უმრავლესობას ბავშვობიდან აღენიშნებათ ერთგვარი ფიზიკური და ფსიქიკური სიმყიფე. ასთენიური ტანთრული ნარკომანებში უფრო ხშირად გეხვდება, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობის იმავე ასაკობრივ ჯგუფებში. ბევრ მათგანს ნაადრევი ასაქიდან აღენიშნება ვეგეტატიური.

ნერვული სისტემის დაბილობა, გულ-სისხლძარღვთა და კუჭნაწლავთა სისტემების აშლილობანი: მაღის დაკარგვა, თავის

ტექნიკური, თავისუსახვება, კოლაფსი, უძილობა, მენსტრუალური ციკლის მოშლა და ა.შ.

ოპიუმი და მისი ჯგუფის პრეპარატები მოქმედებს უპირველეს ყოვლისა ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ნარკოტიკის გარე გეული დოზა იწვევს ეფორიას, გაბრუებას, ამავე დროს „სიმბიოზის“, მომატებას, ტონუსის აწევას, გუნება-განწყობის გაუმჯობესებას, თვითდარწმუნებას, ფაქტების ღრმა შეფასებისა და ანალიზის შესაძლებლობის დაქვეითებას, შემოქმედებითი უნარის მოჩვენებით მომატებას, ემოციურობის გადაჭარბებით გამოვლინებას, მრავალი სახის სასიამოვნო განცდას და სხვა. ყოველივე ამას თან სდევს თავისებური, არაადეკვატური ქცევა, რაც ხშირად არ შეესაბამება არსებულ სიტუაციას და ირგვლივ მყოფთათვის უცნაურია. ამავე დროს შესაძლებელია პრეპარატების განსაზღვრულმა დოზამ გარკვეულ ეტაპზე გამოვლინოს ადნიშნულის საწინააღმდეგო რექცია - საერთო მოდუნება, უხასიათობა, გუნება - განწყობის დაქვეითება და, საერთოდ, ყველა სახის შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების შემცირება.

საბოლოოდ, ქრონიკული მოწამვლა მორფიუმით, იწვევს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ განადგურებას. ირდვევა წყლის და ნახშირწყლების ბალანსი, კანი ხდება მშრალი და მოყვითალო - მიწისფერი, კბილები ადგილად ზიანდება და იწყება კარიესი, გუგები შევიწროებულია, სახე - შეშუპებული, არტერიული წნევა - დაქვეითებული, იწყება ქრონიკული უძილობა, პოტენცია მკვეთრად ქვეითდება, ვითარდება ბრონქული ასთმის მოვლენები, ქრება მენსტრუაცია, ირლვევა მეტყველება, მოძრაობის კოორდინაცია, აღინიშნება ტკივილი შარდის ბუშტის და სწორი ნაწლავის არეში, ვითარდება კიდურების კანკალი, უმაღობა და წონაში დაკლება.

ნარკომანი ფსიქიკურადაც დეგრადირებულია. დასაწყისში ყურადღებას იპყრობს ადამიანის აქტივობის პრაქტიკულად სრული დაქვეითება, ადგილად იდლება; ხდება აფექტური და მშფოთვარე. შემდეგ, ნარკომანები ხდებიან ზედმეტად უინიციატივები, მათი აზროვნება ზერელე და შეზღუდულია, აღინიშნება ნებისყოფის აბსოლუტური გაქრობა. მორფიუმს აღარ მოაქვს ეიფორიის და ნეტარების, ე.წ. - „კეიფის“, განცდა და ტოქსიკომანის ცხოვრების ერთადერთ აზრად რჩება ნარკოტი-

კის მოპოვება და მიღება, რათა შეიმსუბუქოს აბსტინენციის, (შიმშილის) სინდრომი, ანუ (მოიხსნას ე.წ. „ლომპა,,). ეს მდგრა-  
მარეობა იმდენად მძიმეა, რომ ნარკომანი ნარკოტიკის საშოგ-  
ნელად ყველაფერზეა წამსვლელი, ამ დროს ის ხდება საზო-  
გადოებისთვის საშიში.

აბსტინენციის სინდრომი ვითარდება ყველა შემთხვევაში და  
თუ ნარკომანი არ მიიღო მორფინი, 6 - 18 საათის შემდეგ  
ეწყება გულისრევა, ფალარათი, გუგების გაფართოება, ზოგადი  
სისუსტე, სუნთქვის გახშირება, ტემპერატურის მომატება, ნერ-  
წყვისა და ცრემლის დენა, ცემინება, უძილობა, ტკივილი მთელ  
სხეულში, გუნება - განწყობის დაქვეითება, გაღიზიანება, უძი-  
ლობა და ა.შ. ეს ყველაფერი გრძელდება 10 - 12 დღე, შემდეგ  
რჩება უსიამოვნო შეგრძნებები, უძილობა და უხასიათობა. ეს  
მდგომარეობა კი განაპირობებს მიტოვებული ნარკოტიკული  
საშუალებებისადმი ლტოლვას.

ნარკოტიკები მოქმედებენ სუნთქვით ცენტრზე და ადუნებენ  
მას. ამიტომ ავადმყოფები, რომელთაც აღენიშნებათ ქალასშიდა  
წნევის მომატება, ბრონქული ასთმა და ფილტვების სხვადასხვა  
დაავალებები, ნარკოტიკების მიღების შემდეგ, იღუპებიან  
სუნთქვის ცენტრის დამბლის გამო.

ნარკომანის გავრცელების სხვადასხვა მიზეზები არსებობს.  
ხშირად ის ვითარდება პრეპარატის სამკურნალო მიზნით  
ხანგრძლივად ხმარების შედეგად. ზოგჯერ - ივითმკურნლო-  
ბით, როდესაც ავადმყოფი უძილობის ან საერთო სისუსტის  
გამო, ოვითონ იწყებს ნარკოტიკების მიღებას. მოზარდებსა და  
ახალგაზრდებში ხშირია შემთხვევები, როცა ისინი მიბაძიოს,  
ან ცნობისმოყვარების გამო, ნარკოტიკულ საშუალებებს მიმარ-  
თავენ. ცალკეულ შემთხვევებში, ის დაკავშირებულია იძულე-  
ბით ზემოქმედებასთან, როდესაც ჩამოყალიბებული ნარკომანი,  
პიროვნების თავისებური დეგრადაციის და სოციალური მდგო-  
მარეობის გაუკუდმართების გამო, აიძულებს ირგვლივ მეოფო,  
მიიღონ ნარკოტიკი; ზოგჯერ კი ნარკომანის იძულებით გავრ-  
ცელებას საფუძვლად უდევს მათი გავრცელება - სპეცულაციის  
მცდელობა.

ნარკომანი ადარ არის საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი,  
გინაიდან დათრგუნულია მისი პიროვნული და ინდივიდუალური,

განვითარებული ადამიანისთვის დამახასიათებელი, ყველა ნიშანი. მას უჭირს საკუთარი

ადგილის პოენა, არის გარიყელი, მიუხედავად ამისა, ნარკომანია, როგორც დაავადება, არაა შემამსუბუქებელი გარემოება ნარკომანის მიერ ჩადენილი დანაშაულის შეფასებისას და ის დანაშაულზე პასუხს აგებს მთელი სიმკაცრით. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ იმ დანაშაულის სასამართლო - ფსიქიატრიული შეფასება, რომელიც მის მიერ ნარკომანის ნიადაგზე განვითარებულ ხანძოკლე ფსიქიოზურ მდგომარეობაშია ჩადენილი.

**პაშიში** ამერიკაში ცნობილია, როგორც მარიხუანა, ამიერკავკასიასა და შეა აზიაში - ანაშისა და პლანის სახელწოდებით. ის ფისისმაგვარი ნივთიერებაა, რომელსაც იღებენ მცენარე „ინდოეთის კანაბის,, აყვავებული წანაზარდებისგან.

პაშიში მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და იწვევს დათორობას. მას ეწვიან თამბაქოსთან შერევით, ზოგჯერ ღეჭავენ, უფრო იშვიათად კი იღებენ საჭმელთან ან სასმელთან ერთად. მოწვის შემთხვევაში მისი მოქმედების უფასო მაშინვე ვლინდება..

პაშიშის სისტემატური მიღება, იწვევს ნარკომანიას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი ხანგრძლივი ხმარება, დოზების მომატების საჭიროებას არ ქმნის.

იმ ქვეყნებში, სადაც პაშიშის მოხმარება ფართოდაა გავრცელებული, პაშიშიზმით დაავადებათა რიცხვი მეტად მაღალია და ფსიქონევროლოგიურ საავადმყოფოებში მოთავსებულ პაციენტთა 15 - 30 %-ს შეადგენს.

მარიხუანას ერთჯერადი მიღება იწვევს სასიამოვნო გდებობას და ძალის მოზღვავების განცდას. აღინიშნება მეტყველების და ფსიქომოტორული აგზნება, სასიამოვნო აზრების მოზღვავება, ეიფორია, წნდება ფანტასტიკური ხასიათის ასოციაციები, ვოთარდება ერთგვარი ნებარების განცდა. სიხარულის და ბედნიერების განცდა შეიძლება შეიცვალოს შიშით.

ქრონიკული პაშიშიზმის მოვლენებით შედარებით ნელა ვითარდება, დეგრადაციის ნიშნები ჩნდება თანდათან. დასაწყისში შეიმჩნევა გამღიზიანებლობა და იმპულსურობა. ხდება შრომისუუნარო, იზღუდება ინტერესების წრე, მესსიერება სუსტდება, ვითარდება ემოციური გადასაღავება. გუგები შევიწროებულია, რეაქცია სინათლეზე დუნეა, იცვლება მეტყველება; ზოგიერთ შემთხვევაში ვითარდება ფსიქოზური მდგომარეობები; დევნისა და ზემოქმედების ბოდვითი იდეები სმენითი ხასიათის პალუცინაციებით. პაშიშიზმით დაავადებულთა 5%-ში ვითარდება შიზოფრენია, 3,5%-ში კი - ჭკუასუსტობა.

პაშიშიზმის დროს, ნარკოტიკის მიღების შეწყვეტიდან 10 - 14 დღეში ვითარდება აბსტინენციის მოვლენები: დეპრესია, შიში, დამოკიდებულების ბოდვითი იდეები; გარდა ამისა, სიგამხდრე, კანის მოვყითალი შეფერილობა, მოძრაობათა შენელება და კორდინაციის დარღვევა.

**ნარკომანიის მკურნალობა,** ხანგრძლივი და ურთელესი პროცესია. ის შედგება 3 ეტაპისგან. **პირველ პერიოდში** წარმოებს ნარკოტიკული საშუალებების ადგვეთა(სწრაფი, აბორტული ან თანდათანიბითი). **მეორე პერიოდში** ტარდება ორგანიზმის გამაჯანსაღებელი, იმუნიტეტის გამაძლიერებელი ღონისძიებები. პირველი და მეორე ეტაპები ტარდება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, მკაცრი იზოლაციით. მკურნალობის მთელ პერიოდში ავადმყოფს უტარდება ფსიქოლოგიური საუბრები. საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ ავადმყოფი აჟყავთ დისპანსერულ აღრიცხავები ნარკოლოგიურ კაბინეტში, სადაც ტარდება მკურნალობის მესამე პერიოდი. ეს ეტაპი წარმოადგენს მიღებული შედაგების განმტკიცების და სწორი სოციალური კავშირების შემუშავებას.

ავადმყოფი, რამდენიმე წლის განმავლობაში, პერიოდულად უნდა დეტულობდეს რჩევებს მკურნალი ექიმისგან და მას უნდა უტარდებოდეს ფსიქოლოგიური საუბრები.

იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფი კვლავ დაუბრუნდა ნარკოტიკს, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მას შეიძლება, დაენიშნოს იმულებითი მკურნალობა მკაცრი იზოლაციით და რაც შეიძლება დიდი ხნით.

## სყალში დახრჩობა

ამ დროს უურადღება უნდა მიექცეს დაზარალებულის ცნობიერებას, გულ-სისხლარღვთა სისტემის მდგომარეობას, სუნთქვას, სხეულის ზედაპირას.

**თუ ცნობიერება დაკარგულია, ხოლო სუნთქვა და პულსი შენარჩუნებულია:** დაზარალებულს ვაწვენთ, თავი ოდნავ დაბლა უნდა პქონდეს, ვასუნთქებთ ნიშადურის სპირტს, საჭიროების შემთხვევაში ვატარებოთ ხელოვნურ სუნთქვას ლაბორდეს წესით—ენის წინ გამოწევით. წყალში დახხობის დროს სხეული გადაციებულია, ამიტომ აუცილებელია მისი გათბობა, დაზელა გულის მიმართულებით.

**თუ სიცოცხლის არანაირი ნიშნები არ არის, უნდა განვახორციელოთ შემდეგი მანიპულაციები:**

1. დაზარალებულის ხელოვნური სუნთქვისათვის მომზადება – პირის ღრუს, ცხვირ-ხახის, ზედა სასუნთქი გზების უცხო სხეულებისაგან გაწმენდა თითზე დახვეული დოლბანდის საშუალებით.
2. ხელოვნური სუნთქვის ჩატარება.
3. სისხლის მომოქცევის აღმდგენი საშუალებების შეყვანა.

სასუნთქი გზებიდან ქაფის გამოდევნა მხოლოდ “ციანოზურ” პაციენტებშია მიზანშეწონილი, რაც შემდეგნაირად ტარდება: დაზარალებულს ვაწვენთ მუცელზეფეხებს ბარძაყიდან გუწევთ ზევით და პარალელურად ვახდენთ ზეწოლას ზურგზე (ქაფის გამოდევნის მიზნით).

აუცილებელია სხეულის ტემპერატურის შენარჩუნება, რაც ხორციელდება მასაჟებით (სათბურებისა და ცხელწყლიანი ბოთლების გამოყენება არ შეიძლება, რადგან იწვევს სითბოს არათანაბარ გადანაწილებას).

## სიმაღლის აპარატობები

ამ დროს პაციენტი უნდა გადავიყვანოთ ატმოსფეროს შედარებით დაბალ ფენაში, უნდა ვასუნთქოთ სუფთა ჟანგბადი, ზოგჯერ უკეთეს შედეგს იძლევა ჟანგბადისა და ნახშირორეანგის ნარევი (კარბოგენი), აუცილებელია სიმშვიდე, სხეულის გათბობა, სასწრაფო ეგაპუაცია.

## მოტეხილობება

მოტეხილობის დროს მთავარია არ განვითარდეს შოკი. დია მოტეხილობს დროს კანი მუშავდება იოდის 5%-იანი სენარიო, შემდეგ კეთდება ასეპტიური ნახვევი და კიდურის ზევით აწევით სისხლდენის შეჩერება, თუ სისხლდენა ძლიერია იდება ლახტი (ქმარი, ცხვირსახოცი, ტანსაცმელი), ლახტი უნდა დაედოს ისე, რომ მაჯისცემა შეწყდეს. ყოველ ერთ სათში, ხოლო ზამთარში ნახევარ საათში ერთხელ 1-2 წუთით იხსნება ლახტი და ისევ ედება, ოღონდ უფრო ზემოთ.

მოტეხილობის იმობილიზაცია უნდა მოხდეს გაუტკივარების შემდეგ, განსაკუთრებით გრძელი ლულოვანი ძვლების მოტეხილობის დროს. ხშირად გამოიყენება დიტერისის მეთოდი. ბარძაყის და წვივის ორივე ძვლის ზემო მესამედის მოტეხილობის დროს საჭიროა ორი ახლომდებარე სახსრის ფიქსირება მოტეხილობის ზემოთ და ქვემოთ, ბარძაყის დროს კი – სამი(მენჯ-ბადაყის-მუხლის, კოჭ-წვივის).

**დიტერისის მეთოდი:** გაუტკივარების შემდეგ ექიმის დამხმარეორივე ხელს კიდებს კიდურის წვივს, ასწორებს კიდურს და ნელ-ნელა ჭიმავს. ექიმი კი ტერფზე 8-ის მსგავი ნახვევით ამაგრებს არტაშანის ტერფის არეს, ისე რომ მისი ქვედა კიდე ქუსლზე 2-3 სმ-ით დაბლა იყოს. შემდეგ აფიქსირებენ კიდურის არტაშენებს(ორივე გვერდითი ორ-ორი მოძრავი ნაწილისაგან) ისე, რომ გარეთა გვერდითი უნდა ებჯინებოდეს იდლიის ფოსოს, მისი პერიფერიული ნაწილი კი-5-6 სმ-ით უნდა გასცდეს ტერფს. შიგნითა გვერდითი არტაშანი ცენტრალური ნაწილით აუცილებელია ებჯინებოდეს შორისს, პერიფერიული ნაწილი კი-გარეთა გვერდითი არტაშანის თანატოლი უნდა იყოს. შემ-

დეგ იმ ადგილზე, სადაც ძვალი ებჯინება არტაშანს, ედება ბამბა. არტაშნები ბანდით მაგრდება ფეხზე, ხოლო გარეთა არტაშანს დამაგრებებს გულმკერდზეც. გარეთა სპეციალური ღვედით მოწინააღმდეგე მხრის ზემოთ მაგრდება. ხის ტერფიდან ორმაგ ზონარს ვატარებოთ განივი ფიცრის ხვრელში და პატარა ჯოხის საშუალებით ვგრეხოთ ზონარს, რაც იწვევს ფეხის გაჭიმვას და არტაშნის გამაგრებას. ამის შემდეგ ეგაპუ-აცია ძალიან ადვილია.

### **სახსარში სისხლჩაქცევა**

სახსარში სისხლჩაქცევის მიზეზი შეიძლება გამოიწვიოს მოტეხილობამ, იოგოვანი აპარატის გაგლეჯამ. მუხლის სახსრის პერმატზის დროს სახსარი შესიტულია, კვირისტავი მოძრავია. ამ დროს მუხლის არეში უნდა დაიდოს ცივი საფეხნები, მკვრივი ნახვევი და უნდა მოხდეს კიდურის იმობილიზაცია. ტრანსპორტირება უნდა მოხდეს საიმობილიზაციო არტაშნით.

### **მხრის იმობილიზაცია**

ავწიოთ მხრის ძვალი ოდნავ ზემოთ, ამასთან დაჭკიმოთ სიგრძივი მიმართულებით და მოვლუნოთ წინამხარი იდაყვის სახსარში ისე, რომ დაჭიმვა არ შევწყვიტოთ. არტაშანი უკეთდება მხარს ზემო ნაწილიდან წინა მხრისა და მტკვნის თითების პროქსიმალური ფალანგების სახსლვრამდე. ამის შემდეგ კიდური ფიქსირდება არტაშანზე ბანდით და მოული კიდური ჩამოეერდება ხილაბანდით კისერზე.

წინამხრის შემთხვევაშიც ხდება სახსრის დაჭიმვა სიგრძეზე. დამხმარე პერსონალი ერთი ხელით იჭერს ავადმყოფის ხელის მტკვანს, ხოლო მეორით ქმნის მხრის ბოლო მესამედის გამჭიმავ საწინააღმდეგო მდგომარეობას. წინამხარი მხრის მიმართ უნდა მდებარეობდეს სახსარში მოხრილი პირდაპირი კუთხით.

არტაშანი ფიქსირდება ნახვევებით დაზიანებულ კიდურზე, შემდეგ კი ხელს ვკიდებოთ ხილაბანდზე. მხრის მოტეხილობის დროს დასაშვებია, გრეთვე, მოული კიდურის ნახვევის საშუალებით მისი მიმაგრება ტანთან.

## **დამზრუბება**

დამწვრობა არის ქსოვილების დაზიანება, გამოწვეული მაღალი ტემპერატურით, ქიმიური ნივთიერებებით, ელექტრული და სხივური ენერგიით. დამწვრობის სიმძიმე დამოკიდებულია დამწვრობის ფართზე და სიღმეზე. დამწვრობის სიმძიმეს განსაზღვრავს დამწვარი ზედაპირის ფართი და სიღრმე. რაც უფრო ფართო და დრმაა დამწვრობა, მით უფრო მძიმედ მიმდინარეობს დაავადება. არჩევენ 4 ხარისხის დამწვრობას:

პირველი ხარისხის დამწვრობას ახასიათებს კანის შეწითლება, შეშუპება და ტკივილი.

მეორე ხარისხის დამწვრობის დროს კანი უფრო დრმად ზიანდება, მისი ზერელე შრის ეპიდერმისის ქვეშ გროვდება გამჭირვალე სითხე, რომელიც შეიძლება შემდგომში დაჩირქდეს. ბუშტუკები უმთავრესად ვითარდება დამწვრობის მიღებისთანავე, ან 24 საათის შემდეგ. ეს დამოკიდებულია თერმული აგენტის ტერმპერატურასა და მისი მოქმედების ხანგრძლივობაზე. მეორე ხარისხის დამწვრობის დროს ტკივილი უფრო ძლიერია და ხანგრძლივია. სავსე მრავალრიცხოვანი ბუშტუკებით ორგანიზმი კარგავს დიდი რაოდენობით პლაზმას, რასაც “თეთრი სისხლდენა” ეწოდება.

მესამე ხარისხის დამწვრობისას აღინიშნება ქსოვილთა ნეკროზი(სიკვდილი) დამწვარ ზედაპირზე შავი ფერის ქრექის წარმონაქმნით. ამ დროს კანის დვრილოვანი შრე ნაწილობრივ ან მთლიანად ზიანდება. თუ დვრილოვანი შრე მოსპობილია, კანის მთლიანი რეგენერაცია არ ხდება და მის მაგიერ ნაწილუროვანი ქსოვილი ვითარდება.

მეოთხე ხარისხის დამწვრობის დროს ზიანდება კანი, რბილი ქსოვილები და ზოგჯერ ძვალი.

პირველი დახმარების აღმოჩენა იწყება შემთხვევის ადგილზე რაც გულისხმობს დამწვრობის გამომწვევი თერმული აგენტის მოქმედების შეწყვეტას-ცეცხლის ჩაქრობას ან დაზიანებულის გამოყვანას დამწვრობის ზონიდან, ტანსაცმელზე მოდებული ალის ჩაქრობას, ნახვერვის დადებას, ტკივილგამაყუჩებელი და საგულე საშუალებების შეყვანას, სატრანსპორტო იმობილიზაციას. ტკივილის მოხსნის მიზნით უმჯობესია დაზიანებული

ტანსაცმელი შემოვაჭრათ ან შემოვახიოთ. დიდი ფართობის დაზიანების შემთხვევაში უმჯობესია ზეწრის შემოხვევა. შეკის აცილების მიზნით უნდა ვეცადოთ რომ ჩვენი მოქმედება იყოს ნაკლებად მტკიცნეული, გარდა ამისა, ვერიდოთ ინფექციის შეტანას დამწვრობის ზონაში. წყლით ან რაიმე ანტისეპტიკური სენარებით დამწვარი ზედაპირის მობანვა მიზანშეწონილი არ არის. უმჯობესია დავადოთ მშრალი ნახვევი და ავადმყოფი გადავაგზავნოთ ქირურგიულ განყოფილებაში კვალიფიციური დახმარების აღმოსაჩენად.

ქიმიური დამწვრობა ვითარდება მწვავე ტუტებისა და მჟავების ზემოქმედებით. იგი შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე მძიმე ლი-ოთონების მარილებმა. კანის ქიმიური დამწვრობა უფრო ხშირია და ძირითადად დაკავშირებულია წარმოებასთან, ხოლო ლორწოვანის (პირის ღრუს, საყლაპავი მილის, კუჭის) დამწვრობა უმეტესად საყოფაცხოვრებოა.

ისევე როგორც თერმული დამწვრობის დროს, არჩევენ ქიმიური დამწვრობის 4 ხარისხს. დაზიანების ხარისხი დამოკიდებულია ქიმიური ნივთიერების კონცენტრაციასა და მოქმედების ხანგრძლივობაზე.

ქიმიური დამწვრობის ხარისხს, თერმული დამწვრობისაგან განსხვავებით, ადგენტ მოგვიანებით, რადგანაც პირგელ დღეებში დაზიანების ნიშნები ვერ ასწრებს გამოვლინებას.

პირველადი დახმარება მიზნად ისახავს ქიმიური ნივთიერებების ნეიტრალიზაციას. ამისათვის ეველაზე ხელმისაწვდომია დაზიანებული არის ჩამობანა წყლის ნაკადით. ტუტებით დამწვრობის დროს ჩამოსაბანად უნდა ვიხმაროთ 2%-ანი მმრის ხსნარი, ხოლო მჟავათი დამწვრობისას-სოდის 2%-ანი ხსნარი ან ბორჯომის წყალი. დაზიანებულ არეზე უნდა დავადოთ მშრალი ნახვევი და ავადმყოფი გადავაგზავნოთ საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში.

სიღრმის მიხედვით გამოყოფენ ოთხი ხარისხის დამწვრობას:

1. – როცა ზიანდება ეპიდერმისი,
2. – ეპიდერმისი დერმის დვრიდოვან შრემდე,
3. – ეპიდერმისი და დერმა, 4 – მთელი კანი, მისი ქვეშ მდგბარე ქსოვილები და ზოგჯერ ძვლის ნეროზებაც იწვევს.

თერმული დამწვრობის სიღრმე დამოკიდებულია მოქმედი თერმული აგენტის ტემპერატურაზე და მოქმედების ხანგრძლივობაზე. კანის დიდი ფართის დაზიანების დროს ყალიბდება ზოგადი ხასიათის მოშლილობა როგორიცაა: დამწვრობითი შოკი, მწვავე დამწვრობითი ტოქსემია, დამწვრობითი სეპტიკოპიემია და რეკონვალესცენცია. დამწვრობითი შოკი უვითარდება კველა ავადმყოფს როგორსაც სხეულის 50%-ზე მეტი ფართის დამწვრობა აქვს მიღებული. იგი ორგანიზმის საპასუხო რეაქციაა, როგორიც გამოწვეულია დაზიანების ვრცელ ფართზე ნერვული რეცეპტორების მტკიცნეული გაღიზიანებით. დამწვრობითი შოკის თავისებურებაა ცირკულაციაში არსებული სისხლის რაოდგნობის შემცირება, არტერიული წნევის დაქვეითება, კაპილარების განვლადობის გაზრდა და გაძლიერებული პლაზმორეა. დამწვრობითი შოკი 2 – 72 სთ გრძელდება. მის შემდეგ 3 - 4 დღეში ვითარდება მწვავე ტოქსემია. იგი ორგანიზმის ინტოქსიკაციის შედეგია, როგორიც დამწვარი სხეულის ზედაპირიდან ცილების დაშლის პროცესების შეწოვის შედეგად ვითარდება. ტოქსემიას ახასიათებს ტემპერატურის მატება ცხვლება და გრძელდება 12-15 დღე დამწვრობითი სეპტიკოპიემია ვითარდება დამწვრობიდან 10-14 დღეში და ხასიათდება უძილობით, უმაღლებით, ცხელებით. შინაგან ორგანოებში ვითარდება მძიმე გართულებები, როგორიცაა: კურლინგის წყლულები, რაც შეიძლება სისხლდენის მიზეზიც გახდეს. ზოგჯერ ადგილი აქვს ნაღვლის ბუშტის განგრენებს. საბოლოოდ ეს პერიოდი მთავრდება კანის საფარველის სრული აღდგენით. რეკონვალისცენციის პერიოდში კი ინტოქსიკაციის მოვლენები თანდათან ქრება, შინაგანი ორგანოების ფუნქციები და დამწვრობის არეში აღდგენითი პროცესები კი მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

დამწვრობით გამოწვეული დაზიანებების მკურნალობის პროცესი დამოკიდებულია სწორ და დროულ პირველად დახმარებაზე, რაც გულისხმობს უპირველესად ტანსაცმელზე ცეცხლის ჩაქრობას, ნახვევების დადებას, ტკიფილის ფაქტორის მოხსნას და ავადმყოფის სტაციონარში სატრანსპორტო იმობილიზაციას. სტაციონარში ავადმყოფს ათავსებენ ანტიშოკურ პალატაში სადაც ტემპერატურა  $23^{\circ}\text{--}25^{\circ}\text{C}$  ია. ავადმყოფს ეძლევა მინერალური წყლები ჭარბი რაოდენობით, საგულე საშუალებები, ტაივილგამაყუჩებლები, ანტიბაქტერიული სამკურნალო საშუალებები. არსებობს მკურნალობის დახურული და ლია მეთოდი.

დახურული მეთოდი გულისხმობს დაზიანებული ადგილის მაღამოებით დამუშავებასა და შეხვევას, ხოლო დია მეთოდის დროს დამწვრობის არეს ესტევა გამამუხებებით საშუალებები, რაც ამ არეზე წარმოქმნის მკვრივ ფუფხს. ღრმა დამწვრობის დროს საჭირო ხდება ქირურგიული მეთოდების გამოყენება. დამწვრობის გამოსავადი დამოკიდებულია დამწვრობის სიფრმეზე, ფართზე, ლოკალიზაციაზე, გამომწვევ ფაქტორებზე, ასაკზე და ა.შ. მისი არასწორად ჩატარებული მჯურნალობის შედეგად ზოგჯერ ვითარდება კონტაქტურები, ნაწილურები, ტროფიული წყლულები, რომელთა მკურნალობა უკვე პლასტიკურ თვერაციას საჭიროებს.

## მოყინვა

მოყინვა ეწოდება დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად განვითარებულ დაზიანებას. მოყინვა მოსალოდნელია  $+6^0$   $+7^0$ , რასაც განააირობებს ქარის სანგრძლივი მოქმედება, სინოტივე, პერიფერიული ნაწილების სისველე, ვიწრო ფეხსაცმელი, შიმშილი, სისხლნაკლებობა, ორგანიზმის გამოფიტვა და სხვა.

### არჩევენ მოყინვის 4 ხარისხს:

**პირველი** ხარისხის მოყინვის დროს კანი მუქი მოლურჯო ფერისაა. ავადმყოფს აღენიშნება ჩხვლეტითი ხასიათის ტკივილი, ქავილი, წვა, ხშირად შეშუპება, კანის აქერცვლა. მოვლენები 2-3 დღეში უპარვითარებას განიცდის.

**მეორე** ხარისხის მოყინვისას კანზე წარმოიქმნება ბუშტუკები, რომლებიც დამწვრობისაგან განსხვავებით, ჰემორაგიული (სისხლიანი) სითხითაა სავსე. კანის შეშუპება მკეთრადად გამოხატული. მჯურნალობის შედეგად დაზიანებული კანი აღდგება.

**მესამე** ხარისხის მოყინვის დროს კანის ყველა შრე ნეკროზდება(კვდება). მოყინულ ადგილზე მგრძნობელობა ქრება. კანზე უხვად წარმოიქმნება ჰემორაგიული სითხით სავსე ფართო ბუშტუკები. დანეკროზებული უბნების აღგილზე ვითარდება იარები, რომლებიც მეორადად ხორცდება და ნაწილუროვანი ქსოვილით იფარება.

**მეოთხე** ხარისხის მოყინვა კიდურის ყველა რბილი ქსოვილისა და მცლის დანახშირებას იწვევს. დაზიანებული ქსოვილები გვიან ცილდება სხეულის ამა თუ იმ ნაწილს. ჭრილობა ხშირად დაჩირქებულია.

მოყინვის ოთხი ხარისხის გარდა, ცალკე უნდა გამოვყოთ “დამზრობა” და “გაყინვა”(გათოშვა).

**დამზრობის** დროს განმეორებითი, მაგრამ არაძლიერი, ხანგრძლივი დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად კიდურებზე აღინიშნება კანის დერმატიტი(ანთება), ძლიერი ქავილი, ნახეთქები და წყლულები.

გაყინვა ანუ გათოშვა მთელ ორგანიზმზე დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგია.პირებულადი დახმარება გულისხმობს დაბალი ტემპერატურის ზემოქმედების შეწყვეტას და სისხლის მიმოქცევის დარღვევის აღდგენას. ავადმყოფი უნდა გადავიყვანოთ თბილ ოთახში, მოყინული ადგილი დავუმუშავოთ სპირტით, სუფთა ხელის წასმითა და მასაჟით, ვცადოთ სისხლის მიმოქცევის აღდგენა. საჭიროა თბილი აბაზანები. წყლის ტემპერატურას უუმატებო თანდათანობით 20 გრადუსი-დან 40-მდე. ამის შემდეგ მოყინვის ადგილას დავადებოთ სუფთა ნახევებს და აგადმყოფს მოყინვის ხარისხის დაღვენისა და შემდგომი კვალიფიციური მკურნალობის მიზნით გადავაგზნით სამედიცინო დაწესებულებაში. მოყინული ადგილის თოვლით დაზელვა მიზანშეწონილი არ არის , ვინაიდან იგი კანის დაზიანებასა და ინფიცირებას იწვევს. მოყინვის დროს აუცილებელია ტემპერატურის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური დონისძიებების გატარება-შრატისა დაანაზოქსინის შეყვანა, რაც სამედიცინო დაწესებულებაში უნდა განხორციელდეს.

დამზრობის შემთხვევაში საჭიროა ყოველდღიურად თბილი აბაზანების გამოყენება. გათოშვისას ავადმყოფს თბილ ოთახში ათავსებენ, საჭიროების მიხედვით უტარებენ ხელოვნურ სუნთქვას, უპეტებენ საგულე საშუალებებს, ცნობიერების დაბრუნების შემდეგ ეფექტურია ცხელი ჩაის, ალკოჰოლურ სასმელისა და სხვათა მიღება.

## ელექტროდენით დაზიანებას

ელექტროდენით დაზიანებას ანუ ელექტროტრამვას იწვევს ატ-მოსფერული ელექტრობა-ელვა, “მეხის დაცემა”, ან უფრო ხშირად ტექნიკური ელექტრობა.

დენით გამოწვეული პათოლოგია დამოკიდებულია დენის ხასიათზე (მუდმივი, ცვალებადი), ძაბვაზე, მოქმედების სანგრძლივობაზე, ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარსა და სხვ.

ელექტროტრამვას ახასიათებს ადგილობრივი და ზოგადი ნიშნები. ადგილობრივი ნიშნებიდან აღსანიშნავია – “დენის ნიშანი” (დენის კვალი). დენის შესვლისა და გამოსვლის ადგილზე გამოხატულია თერმული დამწვრობის დამახასიათებელი ნიშნები. ზოგადი ნიშნებიდან აღსანიშნავია მოვლენები ცნისის მხრივ, მძიმე შემთხვევებში აღინიშნება ცნობიერების დაგარგვა, რასაც თან სდევს სუნთქვისა და გულის მუშაობის მკვეთრი დაქვეითება.

**პირველადი დახმარება.** დაზიანებული დაუყოვნებლივ უნდა გავათავისუფლოთ ელექტროდენის მოქმედებისაგან, თუ მოსახერხებელია, გამოვრთოთ ან გადაეჭრათ ელექტროგაყვანილობა. აღნიშნული ღონისძიებების ჩატარებისას საკუთარი თავი უნდა დავიცვათ. ამიტომ მავთულის მოცილება საჭიროა მშრალი ჯოხით ან ფიცრით. უმჯობესია დახმარების აღმოჩენის დროს რეზინის ხელთამანი გვეკეთოს და ჩექმები გვეცვას. დაზარალებულს ხელით უნდა შევეხოთ ტანსაცმელზე და არა სხეულის გაშიშვლებულ ადგილებზე. ყოვლად დაუშვებელია დაზიანებულის სილაში ჩაფლობა. თუ საჭიროა მას ადგილზევე უნდა ჩავუტაროთ ხელოვნური სუნთქვა, გულის მასაჟი და სასიცოცხლო ნიშნების გამოჩენისთანავე გადაგიყვანოთ საავადმყოფოში. რაც შეეხება ადგილობრივი დაზიანების მკურნალობას იგი თერმული დამწვრობის ანალოგიურია.

## სხეულის ბადახურება და სითბური დაკვრა

სხეულის გადახურება შეიძლება გამოიწვიოს გარემოს მაღალი ტემპერატურის ორგანიზმზე ზემოქმედებამ, რაც ხდება, მაგალითად, თბილ, დახურულ, ხალხით გადავსებულ ოთახში, აბანოში, ცხელ საამქროში. მზის დაკვრას იწვევს ცხელ ამინდში, კაშკაშა მზეზე დიდხანს ყოფნა. გადახურება შეიძლება მოხდეს თეთრი ღრუბლებით მოფენილ ცის ქვეშაც(რადგან ატარებს მზის სხივებს). გადახურებას ხელს უწყობს სიცხეში და მზეზე ხანგრძლივი მძიმე ფიზიკური შრომა, დიდხანს სიარული, ან, პირიქით, უძრავად ჯდომა და წოლა. გადახურება უფრო ემართება მსუქან ხალხს, ადამიანებს, რომლებიც ავადმყოფობენ არტერიული პიპერტონით, ვეგეტონევროზით, გულის დაავადებებით, სისხლნაკლებობით, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების დავადებით, იმათ, ვინც ახლო წარსულში გადაიტანეს მწვავე ინფექცია. სიცხე და მზე მნელი ასატანია სიმთვრალეში და მომღვვნო დღეს, ზედმეტი ჭამის შემდეგ. ეფრო მეტად სახიფათოა მზე მელოტი, თავდაუხურავი, მუქი ფერის თბილ ტანსაც-მელში ჩაცმული ადამიანისათვის. გარემოს მაღალ ტემპერატურას და მზეს პირველ ხანებში ცუდად გულება ცხელ ქვეყნებში ახლად ჩასული ადამიანი, აკლიმატიზაციისათვის საშუალოდ 3-10 დღე სჭირდება.

სხეულის გადახურების და მზის დაკვრისას ადამიანს დასაწყისში აწუხებს სიცხის შეგრძნება, საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, თავბრუ, ყურებში შუილი, მხედველობის დაბინდვა, გულმკერდში შებოჭვის გრძნობა, გულის ფრიალი, პირის სიმშრალე, გაძლიერებული წყურვილი. იგი მოუსვენრადა. ზოგჯერ აღინიშნება გულისრევა და დებინება. კანი წითელი ფერისაა, დაფარულია ცხელი თფლით. სხეულის ტემპერატურაზოგჯერ მატებულობს, სუნთქვა გახშირებულია, არტერიული წნევა დაბალია. შეიძლება აღინიშნოს ხანმოქლე დროით გულის წასგლა კანის გაფერმკრთალებით და სუსტი მაჯით. გარდა ზემოაღნიშნულისა, მზის ზემოქმედებით შეიძლება განვითარდეს კანის ღია ნაწილების დამწვრობის მოვლენები. მძიმე შემთხვევაში ტემპერატურა მატულობს 40-41 გრადუსამდე და მეტად, შეიძლება განვითარდეს ეპილეფსიისმაგვარი გულყრა, კრუნჩხვები, ბოდვა, პალუცინაციები.

ცნობილია გადახურებით განპირობებული ორი კლინიკური სინდრომი

**კოლაფსი,** რომელიც ვითარდებაგადახურებისადმი სისხლძარღვისანი სისტემის არაადგევატურრეაქციის გამოპ. ჩვეულებისა-მებრ მას წინ უსწრებს თავის ტკივილი, სიცხის შეგრძნება, სისუსტე, გულის ფრიალი, გულისრევა, ტავბრუსხევევა. ამ მომენტში კანი ნაცრისფერი და ტენიანია. მკეთრი სისუსტეა სრულ ულონობამდე, ტაქიკარდიაა, დაბალი არტერიული წნევა.

ამ დროს ავადმყოფი უნდა გამოვიყვანოთ გადახურების ზონიდან, გაეხადოთტანსაცმელი, დავადოთ თაგზეცივ წყალში დას-ველგბული საფეხი ან ყინულის ბუშტუკი, დავალევინოთ ცივი წყალი.

კომა და **ცხელება** ვითარდება იმავე პირობებში, რა დროსაც კოლაფსი, მაგრამ პათოგენეზში წამყვანი აღგილი უჭირავს დი-დი რაოდენობით ოფლის გამოყოფას და ამის შემდეგ პიპერ-თერმიას. ცნობიერების დაკარგვას წინ უსწრებს თავის ტკივილი, თაგბრუსხევევა, დამტვრეულობის შეგრძნება, მუცელში ტაკივილები, ქოშინი და ზოგჯერ ფსიქიკური დარღვევები. კომა ვითარდება თანდათანიბით, სტადიების მიხედვით. ცხელებამ შეიძლება მიახწიოს 40 – 42 გრადუს ცელსიუსს. აღინიშნება ტაქიკარდია, სუნთქვა ზედაპირულია, არტერიული წნევა შეიძლება იყოს უმნიშვნელოთ აწეული, კუნთოვანი ტონუსი დაქ-ვეიობებულია. ამ დროს საჭიროა, თავზე და საზარდეულის არეში ყინულის კომპრესის დადება, ცივ მატერიაში შეხვევა, წყლის გადასხმა. ვენაში წვეთოვნად შეჭყავთ 500 მლ. ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური სხსარი. ნაკადად 10 მლ. 4% ამიოდპი-რინის ან 4 მლ. 50% ანალგინის სხსარი, 80 მგ ლაზიქსი. საჭიროა ჰოსპიტალიზაცია რეანიმაციულ განყოფილებაში.

სიცხისაგან შეწუხებული ადამიანი უნდა დავაწვინოთ, გავიყვანოთ სუფთა ჰაერზე, გავუდოთ ფანჯარა, გავხადოთ ან გავუხსნათ ტანსაცმელი, დაგუბეროთ ჰაერი მარაოთი, დავუზილოთ ხელ-ფეხი. შეიძლება ვასუნთქოთ სუნამო, ნიშადურის სპირტი, ძმარი, ვაპეუროთ წყალი. უფექტურია თავზე ყინულიანი ბუშტის დადება, ცივი წყლის საფეხები, უნდა მიეცეს დასალევად წყალი, ჩაი ან ყავა.

მსუბუქ შემთხვევაში სუფთა, გრილ პაკერზე გაყვანისას ავადმყოფური მოვლენები სწრაფად ქრება, დაზარალებული თავს კარგად გრძნობს მე-2-3 დღესვე. მძიმე შემთხვევაში საჭიროა საავადმყოფოში მოთავსება.

## გულის ტასვლა

გულის წასვლა ეწოდება ცნობიერების უცარ და ხანმოკლე დაკარგვას. მას სხვადასხვა მიზეზი იწვევს: მდელვარება, მძიმე სანახაობა, შიში, ტკივილი, მზეზე ყოფნა, სხეულის გადახურება და სხვა. იგი უფრო ხშირად ვითარდება სუსტი ტიპის ნერგული სისტემის მქონე ქალებში. ინფექციური დაავადებების მკურნალობის პერიოდში, ზოგადად დასუსტებულ ავადმყოფებში. ადამიანს უცრად თვალთ უბნელდება, ცნობიერება ებინდება, გრძნობას კარგას. იგი ჩაიკეცება და მოშვებული ჩამოჯდება ან წაიქცევა, მაგრამ ისე, რომ ტრამვას არ დებულობს. ამ დროს კანი ფერმკრთალია, პულსი შესუსტებულია ან საერთოდ არ ისინჯება, არტერიული სისხლის წრევა დაქეთოვბულია. რამდენიმე წუთში ავადმყოფს ფერი მოსდის, უძლიერდება პულსი და უბრუნდება გონება. იგი თავს კარგად გრძნობს, შეიძლება აწუხებდეს საერთო სისუსტე, თავბრუ.

გულის წასვლის დროს ადამიანი უნდა დავაწვინოთ ისე, რომ თავი დაბლა ჰქონდეს, ფეხები კი შედარებით მაღლა, უნდა გავუხსნათ ტანსაცმელი, ვასუნთქოთ სუფთა პაერი, მიზანშეწილია რდეკოლონის, ძმრის, ნიშადურის სპირტის გამოყენება (ისე რომ კანის დამწვრობა არ გამოვიწიოთ), ეფექტურია ვასხუროთ სახეზე და გულმკერდზე წყალი, დავუზილოთ ხელფეხი, გაგუკეთოთ კანქვეშ კორდიამინი, ქაფური, კოფეინი, გრძნობის დაბრუნების შემდეგ დავალევინოთ მაგარი ჩაი ან ყავა.

თუ უგონო მდგომარეობა რამდენიმე წუთზე მეტხანს გაგრძელდა, საჭიროა სპეციალური სამედიცინო დახმარების გამოძახება.

უახლოეს დროში ავადმყოფი უნდა გაესინჯოს ექიმს გულის წასვლის მიზეზის დასადგენად.

## ანაფილაქსიური შოკი

ანაფილაქსიური შოკი ალერგიის ყველაზე მრისხანე გამოვლინებაა. იგი შეიძლება განვითარდეს შრატებისა და მედიკამენტების ქანქვეშ, კუნთებსა ან ვენაში შეევანის შეძლებ. ეს გართულება შეიძლება გამოიწვიოს ფუტკრის ან სხვა მწერების ნაკირებაც.

ანაფილაქსიური შოკი ვითარდება სწრაფად, სხვა ალერგენის შეევანის პირველსავე წუთებში გამოვლინდება: ავადმყოფი მოუსვენარია, აღენიშნება შიშის გრძნობა, თავის ტკიფილი, ყირებში შეილი, ოფლის ძლიერი დენა, ზოგჯერ გონების დაკარგვა, პირდებინება, მკვეთრად ეცემა არტერიული წნევა, ირლვევა სუნთქვის რითმი.

ანაფილაქსიური შოკის ნიშნების გამოჩენისას დაუყოვნებლივ უნდა იყოს გამოძახებული სასწრაფო დახმარება. ექიმის მოსკლამდე ავადმყოფი უნდა დავაწვინოთ საწოლში. თავი ავადმყოფს საწოლში დაბლა უნდა ჰქონდეს. პირდებინების ან გონების დაკარგვის შემთხვევაში, ნაღებინები მასით მოხრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ქმედდა ყბის წინ წამოწევა და პირის დრუს ამოწმენდა. სასურველია ლახტის დადება მედიკამენტის შეევანის ადგილის ზემოთ.

## სისხლდენა

სისხლდენა ეწოდება დაზიანებული სისხლძარღვიდან სისხლის გამოსვლას. სისხლდენის მიზეზი ძირითადად მექანიკური დაზიანებაა, გარდა ამისა სისხლძარღვის კედლის მოლიანობა შეიძლენა დაარღვიოს რაიმე პათოლოგიურმა პროცესმა.

იმის მიხედვით, თუ რომელი სისხლძარღვია დაზიანებული, არჩევენ არტერიულ, ვენურ და კაპილარულ სისხლდენას. მათ შორის ყველაზე საშიშია არტერიული სისხლდენა, რომლის დროს დაზიანების აღვილიდან ალისფერი სისხლი გადმოდის

მოპულსირე, მფეთქავ ნაკადად. ვენური სისხლი მდორედ, წელა მოყდინება, პულსაცია არ ახასიათებს, იგი მუქი წითელი ფერისაა. კაპილარული სისხლდენის დროს მთელი ჭრილობა ჟონავს.

სისხლდენა შეიძლება იყოს გარეგანი, როდესაც სისხლი გარეთ იღვრება. შინაგანი სისხლდენის დროს კი სისხლი იღვრება რომელიმე ლრუში, მაგალითად, მუცლის, გულმკერდის და ა.შ.

სისხლდენის ძირითად გართულებად მიჩნეულია მწვავე სისხლნაკლებობის განვითარება, რასაც შეიძლება სიკვდილი მოპყვეს. სისხლდენის სიმძიმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დაკარგული სისხლის რაოდენობას, სისხლდენის სიჩქარეს, ორგანიზმის ზოგად მდგომარეობას, ასაკს, სქესს. რაც უფრო სწრაფად იძარგება სისხლი, მთე უფრო საშიშია იგი სიცოცხლისათვის. სისხლის დაკარგვას შედარებით უკეთ იტანენ ქალები, მოხუცებსა და ბავშვებზე კი ის ძალიან მძიმედ მოქმედებს.

სისხლდენის ნიშნებია დიდი რაოდენობის სისხლის დაკარგვა, სიფერმერთალე, მაჯისცემის აჩქარება, თავბრუ, ყურებში შეიღლი, მხედველობის დაქვეითება, გულისწავლა, არტერიული წნევის დაცემა.

არსებობს სისხლდენის დროებითი და საბოლოო შეჩერების მეთოდები.

სისხლდენის დროებითი შეჩერება ყველამ უნდა შეძლოს, მისი საბოლოო შეჩერება კი საავადმყოფოში ხორციელდება. ჩვენ მოკლედ განვითილავთ სისხლდენის მხოლოდ დროებითი შეჩერების მეთოდებს, რაშიც ქირურგის გარდა, უნდა იცოდნენ არა მარტო სხვა სპეციალობის ექიმებმა, არამედ ყველა სპეციალობის ადამიანმა: პოლიციელებმა, მშენებლებმა, მასწავლებლებმა, სპორტმენებმა, მათ შორის დიასახლისებმა. ეს მეთოდებია: დამწოლი ნახვევის დადება, კიდურის მაღლა აწევა, სახსრებში მაქსიმალურად მოხრა, თითოთ სისხლძარღვის მიჰყლეტვა ძვალზე, ლახტის დადება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კველა ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდს შეიძლება მოჰყვეს დაზიანებულ

სისხლძარღვში თრომბის წარმოქმნა და სისხლდენის საბოლოო შეჩერება.

დამწოლ ნახვეს ადებენ ვენის ან მცირე არტერიის დაზიანებისას. ჭრილობაზე ჯერ აფარებენ რამდენიმე ფენა სტერილურ დოლბანდს, ზემოდან კი ბამბას, რომელსაც დოლბანდთან ერთად მჭიდროდ დამაგრებენ კიდურზე ირგვლივი ნახვევით.

კიდურის მაღლა აწევა იწვევს კიდურის არტერიული სისხლის მიღენის შემცირებას, წნევის დაწევას და სისხლდენის შეჩერებას. ამ მეოთხს ხშირად იყენებენ დამწოლი ნახვევის დაღებასთან ერთად.

მუხლევეშა, მხრის, იდაყვისა და საზარდულის არეში არტერიების დაზიანებისას საჭიროა მუხლის, მხრის, იდაყვისა და მენჯ-ბარძაყის სახსრის მაქსიმალური მოხრა და კიდურების ამ მდგრმარეობაში დამაგრება ნახვევით.

თითოთ სისხლძარღვის ძვალზე მიჰყლებების დროს შეიძლება მაგისტრალური სისხლძარღვებიდან სისხლდენის შეჩერება რამდენიმე წუთით. მაგალითთად საძილე არტერიაზე ზეწოლას ვახდენთ დაზიანების მხარეს დაახლოებით კისრის შუა ნაწილში, სადაც შეიგრძნება საძილე არტერიის პულსაცია. ბარძაყის არტერიაზე ზეწოლას ვახდენთ თითოთ ან მუშტით საზარდულის ქვემოთ, სადაც შეიგრძნობა ბარძაყის არტერიის პულსაცია.

ლახტის დადება მარტივი და საიმედო მეთოდია, საშუალებას გვაძლევს საქაოდ დიდი ხნით შევაჩეროთ სისხლდენა მაგისტრალური სისხლძარღვებიდან. ლახტს უმთავრესად ადებენ კიდურებზე ჭრილობის ზემოთ. ამისათვის გამოყენებულია რეზინის ელასტიკური ლახტი, რეზინის მილი, თუ ლახტი არ გვაქვს, შეიძლება გამოვიყენოთ ქამარი, ნაჭრის თასმა, პალსტუხი, ცხვირსახოცი და ა. შ.

ლახტის დადების წინ ავადმყოფს კიდური ზევით უნდა ავწიოთ და, ლახტის ქვეშ კუნთები, ნერვები და სისხლძარღვები რომ არ დაზიანდეს, კიდურს შემოვახვიოთ ხელთარსებული რაიმე ნაჭერი. ლახტი უნდა შემოვუჭიროთ ისე, რომ ჭრილობიდან სისხლდენა შეწყდეს. ავადმყოფს ლახტი კიდურზე შეიძლება 2

საათის განმავლობაში ედოს. თუ ამ დროში არ მოხერხდა ავადმყოფისათვის საბოლოო დახმარების აღმოჩენა, ლახტს 1-2 წუთით მოვხსნით ჭრილობიდან და, სისხლდენის დაწყებისთანავე, ხელმეორედ ვადგეთ. ეს საჭიროა ქსოვილების სისხლით მომარაგების აღსაღგენად.

## შპ0პ0

**შაკიკი** ეს დაავადება ხშირია ახალგაზრდა ასაკის ქალებში. ხშირად ის ერთი ოჯახის რამდენიმე წევრს შორის აღინიშნება. თავის ტკივილი შეტევითი ხასიათისაა. მის აღმოცენებას იწვევს ფიზიკური გადაღლა, ძილის რეჟიმის დარღვევა(უძილობა ან გადაჭარბებული ძილი), ჩახუთულ შენობაში ხანგრძლივად ყოფნა, კუჭ-ნაწლავის აშლილობა, ყაბზობა, ალკოჰოლის მიღება, თამბაქოს ჭარბი მოწევა, შიმშილი ნერვული განცდები და სხვა. შეტევები გრძელდება საათობით, იშვიათად დღეების მანძილზე.

დახმარების აღმოსაჩენად ავადმყოფი უნდა მოვათავსოთ ნახევრად ჩაბნელებულ, კარგად განიავებულ ოთახში, შევქმნათ მყუდროების, სიმშვიდის აგმოსფერო, თავზე დავადოთ ცივი საფენი ან ყინულიანი ბუშტი. შედეგს იძლევა თავისა და კოსრის მიღამოს მასაჟი, თავის დაბანა ცხელი წყლით, მდოგვის საფენები, კოტოშები ან ცხელი საობური საყელოს ან ბეჭთაშუა არეზე, ფეხების ცხელი აბაზანა. უნდა მივცეთ ტკივილგამაყუჩებელი, რომელიც უფრო უფექტურია შეტევის დასაწყისში. სასარგებლოა დამამშვიდებელი პრეპარატები, ვალიდოლი ან ნიტროგლიცერინი ენის ქვეშ.

## თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა

არჩევენ თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის ორ ძირითად ფორმას: 1. გარდამავალ ანუ დინამიკურს და 2. კეროვანს, ორგანულს ანუ ინსულტს (ინსულტი დარტყმას ნიშნავს), რომელიც შეიძლება განპირობებული პრეპარატები, ვალიდოლი ან ნიტროგლიცერინი ენის ქვეშ.

სისხლჩაქცევით ან თავის ტვინში სისხლის დინების შეფერხებით მისი მკვებაგი სისხლძარღვის დაცობის გამო.

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლის შემთხვევაში საჭიროა სწრაფი, გადაუდებელი დახმარება პიპერტონიული კრიზის დროს აუცილებელია მადალი არტერიული წნევის დაქვეითება და სისხლძარღვთა სპაზმის ლიკვიდირება. პირველ რიგში უნდა უზრუნველყოთ ავადმყოფის სრული სიმშვიდე, დაუშვებელია ყოველგვარი მოძრაობა, რისთვისაც ავადმყოფს პირველადი დახმარება უნდა გაეწიოს ადგილზევე, ხოლო თუ სისხლჩაქცევა ქუჩაში განუვითარდა, საჭიროა ავადმყოფი რაც შეიძლება ფრთხილად გადაყვანილ იქნეს საავადმყოფოში.

ავადმყოფს საწოლში გაწვენთ ზურგზე, თავის ოდნავ მადალი მდებარეობით, თავზე ხანგამოშვებით ვადებთ ყინულს, ფეხებზეცხელ სათბურებს. ავადმყოფს ტანსაცმელი უნდა გავხადოთ ფრთხილად, შევუჩინათ ყველა დილი, მოვაცილოთ ნახვევები, რათა არ შეუფერხდეს სისხლის მიმოქცევა და სუნთქვა, ზოგჯერ საჭიროა ტანსაცმლის გაჭრა. ოთახი, სადაც ავადმყოფს ვათავსებთ, უნდა იყოს გრილი და ოდნავ ჩაბნელებული. შარდის შეკავების შემთხვევაში შარდი კათეტერით უნდა გამოვუშვათ, ყურადღებას ვაქცევთ კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, შეკრულობის შემთხვევაში ვუკეთებთ გამწმენდ იყნას. აუცილებელია გვასხოვდეს, რომ კუჭის მოქმედება და შარდვა მწოდიარე მდგომარეობაში უნდა წარმოებდეს.

კომის დროს უნდა ვერიდოთ სითხის მიცემას, რომ იგი არ გადავიდეს სასუნთქ ზებში და არ გამოიწვიოს ასფიქსია. (მოხრჩიბა). ამავე თვალსაზრისით აუცილებელია კბილების პროცეზის ამოღება და პირის დრუს გაწმენდა ამონაღები მასისაგან. თუ კომა დრმა არ არის და ავადმყოფი კარგად ყლაპავს, ვაძლევთ წყალს ან შემტკბარ ჩაის.

პირველი დღიდანვე უნდა ვეცადოთ, რომ ავადმყოფს არ განუვითარდეს ნაწოლი. ის უნდა იწვეს სუფთად; გავა, დუნდულები და ქვედა კიდურები საჭიროა დაგზილოთ ქაფური სპირტის, ან ჩვეულებრივი სპირტის წყალსნარით.

თუ ავადმყოფი აგზნებულია-შფოთაგს, მოძრაობს, აქვს წამოდგომის სურვილი, მიუხედავად კომური მდგომარეობისა, ვაძლევთ დამაწყნარებელ საშუალებებს.

მაღალი არტერიული წნევის, თავის ტვინის შეშუპების, გულის უკმარისობის და სხვათა საწინააღმდეგოდ პრეპარატების დანიშვნის საკითხი ექიმმა უნდა გადაწყვიტოს.

## პოლაფსი

პოლაფსი მძიმე, სიცოცხლისათვის მეტად სახიფათო მდგომარეობაა. მას ახასიათებს არტერიული წნევის მკვეთრი დაცემა, რასაც იწვევს გულის მუშაობის უეცარი შესუსტება ან სისხლძარღვების ტონუსის დაქვეითება.

პოლაფსის გამომწვევი მიზეზია: სხეულის მძიმე დაზიანება, დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვა, მოწამვლა, მწვავე ინფექციური დაავადება და სხვა.

პოლაფსის დროს დამახასიათებელია სიფერმკრთალე, სუსტი, აჩქარებული პულსი (ხანდახან სრული გაქრობა), არტერიული ნევის დაცემა, კანის დაფარვა ცივი ოფლით, სხეულის ტემპერატურის დაჭვეითება, ზერელე, გაიშვიათებული სუნთქვა, გუგების გაგანიერება, ამასთან ცნობიერება შენარჩუნებულია, ზოგჯერ დაბინდული.

პოლაფსის კლინიკური ნიშნები ძალიან წააგავს შოკს. განსხვავება ის არის, რომ კოლაფსის დროს პირველადია გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, ხორ შოკის დროს-ცვლილებები ცნს-ის მხრივ.

კოლაფსის შემთხვევაში ავადმყოფს დაუყოვნებლივ უნდა აღმოვწინოთ დახმარება, გამოეუძახოთ სასწრაფო დახმარება, ხოლო ექიმის მოსელამდე ბალიშის გარეშე ისე დავაწვინოთ, რომ სხეულის ქვედა ნაწილი თავზე და გულმკერდებ მაღლა იმყოფებოდეს, რათა არ განვითარდეს თავის ტვინის ხანგრძლივი სისხლნაკლებობა. ავადმყოფი სასწრაფოდ უნდა

გადავიყვანოთსაავადმყოფოში, სადაც ჩაუტარდება მკურნალობა იმ პათოლოგიის წინააღმდეგ, რამაც განაპირობა კოლაფსი.

## პირველადი დახმარება ლაბიონების დროს

ლებინება მრავალი მიზეზით შეიძლება განვითარდეს: პუჭნაწლავისა და სანალვლე გზების დაავადების, ძლიერი ტკივილის დროს, წამლის ან უხარისხო საკვების მიღების შედეგად, ცხელებითი მდგომარეობის დროს და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ მწოლიარე, მძიმე ავადმყოფები, რომლებსაც შეიძლება დაეწყოთ დებინება და დაავადების სიმძიმე არ იძლევა საშუალებას დებინების დროს ავადმყოფი წამოვსვათ. ამ დროს იქმნება საშიშროება, რომ ამონადები მასა მოხვდება სასუნოქ გზებში და განვითარდება ასფიქსია — მოხრჩობა, ან ასპირაციული პნევმონია(ცილდრეზების ანთება). ამ შემთხვევაში ავადმყოფს თავი უნდა გადაგუბრუნოთ (მარჯვნივ ან მარცხნივ) და პირთან მივუდგათ პატარა თასი, დებინების დამთავრების შემდეგ სველი დოლბანდით, პირსახოცით ან ბამბით მოვუწმინდოთ ტუჩები, სახე და მივცეთ წყალი პირის გამოსავლებად.

უგონო მდგომარეოში მყოფ ავადმყოფს როდესაც უვითარდება პირდებინება, თავი უნდა გადავუწიოთ გვერდზე. დებინების დამთავრების შემდეგ საჩვენებელ თითზე უნდა დავიხვიოთ დოლბანდი და ავადმყოფს გამოვუწმინდოთ პირის ღრუ, უკეთშია თუ პირს გავუხსნით სპეციალური მაშით, ენის საჭერით გამოვუწევთ ენას და შემდეგ მაშაზე დამაგრებული დოლბანდით გამოვუწმენდოთ პირის ღრუს, რბილ სასასა და ხორხს.

## მუგაგე მოწამვლა

ბოლო პერიოდში მკვეთრად იმატა მწვავე მოწამვლების საშიშროებამ, აღნიშნული გამოწვეულია, ოჯახებსა და გარემოში ტოქსიკური ნივთიერებების დიდი რაოდენობით დაგროვებამ. (ფართოდ გამოიყენება საოჯახო საქმიანობაში სარეცხი

ფხენილები, გასაწმენდი სითხეები, მწერების საწინააღმდეგო საშუალებები და სხვ.).

უნდა გვახსოვდეს რომ ყოველი წამალი შხამია და მისი არა-დანიშნულებისამებრ ან არასწორი დოზით გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის მოწამვლა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სამკურნალო საშუალებას იღებენ ექიმის დანიშნულების გარეშე. წამლები ხშირად შენახულია უეტიკეტოდ, დაუკეტავ უჯრებში, რაც ზრდის ბავშვთა მოწამლის საფრთხეს.

მოწამვლა შეიძლება იყოს შემთხვევითი და წინასწარ განზრახული. წინასწარ განზრახული მოწამვლის მთავარი მიზანია თვითმკვლელობის ცდა უმეტესად არამყარი ნერვული სისტემის ქქონე პირებში და სიმთვრალეში.

მოწამვლის გამოსავალი ბევრადაა დამოკიდებული დროულ და სწორ პირველად დახმარებაზე. არასპეციალისტის ჩარევა არ უნდა სცილდებოდეს ექიმამდელი დახმარების ფარგლებს და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაწმუნებული ვართ იმაში, რომ საქმე გვაქვს მწვავე მოწამვლასთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანს შეიძლება ზიანი მივაყენოთ.

სწორი და ეგალიტიცური დახმარების მიზნით საჭირო დადგინდეს თუ რა ნივთიერებითაა გამოწვეული მოწამვლა.

**პირველადი დახმარების** ღონისძიებები დამოკიდებულია იმაზე თუ რა გზით მოხვდა შხამი ორგანიზმში. ყველაზე უფრო ხშირად ეს არის კუჭ-ნაწლავი. გარდა ამისა, მოწამვლა შეიძლება მოხდეს შხამის ორთქლის შესუნთქვის შედეგად. უფრო ხწირავ მოქმედებას ავლენს შხამის მოხვედრა უშუალოდ სისხლში ინტრაკენურად შეევანის გზით, შხამიანი გველის ან მწერის კბენის შედეგად.

მწვავე მოწამვლის დროს რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩატარდეს შემდეგი სამკურნალო ღონისძიებები: შხამის მოშორება ორგანიზმიდან, შხამის გაუგნებლება, სიმპტომური მკურნალობა.

შხამის დალევის შემთხვევაში კველაზე სასწრაფოდ ჩასატარებელი ღონისძიებაა კუჭის ამორეცხვა. ადამიანი უნდა დაგსვათ, ფეხებშორის დაუუდგათ ტაშტი და ზედიზედ დაგალევინოთ 4-5 წაის ჭიქა შემთბარი წყალი, რომელსაც შეიძლება დავუმატოთ საჭმლის სოდა (თითო წაის კოვზი ყოველ ჭიქაზე). წყალი უნდა დალიოს დიდ ყლუპებად, სწრაფად, რათა სითხე შხამთან ერთად არ გადავიდეს ნაწლავებში. ამის შემდეგ საჭიროა პირზე თითის ჩაყოფით პირლებინების გამოწვევა. ასე უნდა გავიმეოროთ რამდენჯერმე, ვიღრე კუჭიდან არ ამოვა სუფთა წყალი.

თუ მოწამვდა გამოწვეულია მავნე აირების შესუნთქვის შედეგად დაზიანებული სასწრაფოდ უნდა გადავიყვანოთ სუფთა პაერზე, გავუსუფთაოდ ცხვირის და პირის ღრუ ლორწოვანი გამონადენისაგან და ვასუნთქოთ ჟანგბადი.

პირველი დახმარების აღმოჩენისთანავე ავადმყოფი სასწრაფოდ უნდა წავიყვანოთ სააგადმყოფოში ან გამოვიძახოთ ექიმი.

## ბველის ნაკბენი

საქართველოში სხვადასხვა სახეობის შხამიანი გაედი ბინადრობს. მათ შორის ყველაზე სახიფათოა აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული გიურზა. მისმა ნაკბენმა მძიმე მოვლენები შეიძლება გამოიწვიოს, ხოლო ბავშვებისათვის კი სასიკვდილოც იყოს.

გველის კბენისთანავე ადამიანს ეწყება ტკივილი და წვა, ნაკბენის ადგილი სივდება. შეშუპება სწრაფად ვრცელდება მთელ კიდურზე, კანი გაწითლებულია, წნდება კანქვეშა სისხლჩქვევები. თავს იჩენს ზოგადი მოვლენები – თავის ტკივილი, თაგბრუ, გულისრევა და პირლებინება, ტემპერატურის მომატება. მძიმე შემტხვევაში იწყება ფაღარათი, ბოდვა, არტერიული სისხლის წნევა ეცემა.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა ნაკბენი ჭრილობიდან ხელით გამოვწუროთ სისხლი და მასტან ერთად შხამი. ამის შემდეგ ნაკბენი უნდა გამოვწუროთ პირით და გადავანერწყვოთ (პირის

დრუს ლორწოვანი არ უნდა იყოს დაზიანებული). დროებით სანამ ჭრილობას გამოვწევნიდეთ, შეიძლება ნაკბენი ადგილის ზემოთ შემოვუჭიროთ ლახტი (თუ ეს შესაძლებელია) მაგრამ მცირე ხნით. გველის მიერ დაგესლილი ადამიანი უნდა დაწვეს, შეწყვიტოს ყოველგვარი აქტური მოძრაობა, განსაკუთრებით კი დაკბენილი კიდურისა. უმჯობესია თუ კიდურს დავაფიქსირებთ არტაშნის საშვალებით. გველის მიერ დაგესლილი ადამიანი პირველადი დახმარების შემდეგ აუცილებელია გადაყვანილიქნას საავადმყოფოში.

## შხამიანი მომენტის და მორიენტის ნაკბენი

ფუტკრის, კრაზანის, მორიელის, ობობას ნაკბენ ადგილზე ადამიანი გრძნობს ძლიერ წვას და ტკივილს, ნაკბენის არე შეწითლებულია, შესიებული მის ცენტრში კი ჩანს ნაკბენი ხვრელი და ნებტარი. თუ ადამიანი რომელიმე მწერმა დაკბინა და იგი ალერგიულად ზემგრძნობიარება, მაშინ შესაძლოა განვითარდეს ზოგადი მოვლენები: საერთო სისუსტე, თაგბრუს ხვევა, თავის და კუნთების ტკივილი, გულისრევა, პირდებინება, ტემპერატურის მომატება. შეშუპება თანდათან მატულობს, შეიძლება მოიცვას მოელი სხეული. მძიმე შემთხვევებში შეიძლება განვითარდეს კრუნქსევები, დაეცეს არტერიული სისხლის წნევა.

**დახმარება:** საჩიროა ნაკბენიდან ამოვიდოთ ნესტარი, მაგრამ ფრთხილად ისე რომ არ გაიჭყლიტოს მასთან მიმაგრებული პარკი და ქსოვილში არ შევიდეს შხამის დამატებითი რაოდენობა. ნაკბენ ადგილზე უნდა დავადოთ ყინულის კომპრესი, ცივი საფენები ან ცივი ლითონი. მძიმე შემთხვევებში ავადმყოფი უნდა მოვათავსოთ საავადმყოფოში.

## სოკოთი მოშხამება

ჩვენში შხამიანი სოკოებიდან გავრცელებულია თეთრი შხამა სოკო და წითელი შხამა სოკო. **თეთრი შხამა სოკოთი მოწამებლის ნიშნები** გამოვლინდება სოკოს ჭამიდან 12-14 საათის

შემდეგ. მოწამლულს ეწყება თავის ტკიფილი, იგი მოუსვენრადაა ან დეპრესიული. აქს გულისრევა და პირდებინება, ზოგჯერ სისხლნარევი მასით. ეწყება ძლიერ თხელი, ბრინჯის ნახარშისებული, ფაღარათი სისხლნარევი მასით. ავადმყოფი დიდი რაოდენობით კარგავს სითხეს და მასთან ერთად ორგანიზმისთვის აუცილებელ მარილებს. სახე ფერმკრთალია, დაფარულია ციფი თფლით. მოწამლულს ეწყება ბოდვები და პალუცინაციები. რამოდენიმე დრეში ვითარდება ლვიძლის და თირკმლების დაზიანება და ავადმყოფი იღუპება.

წითელი შხამა სოკო ტოქსიკურ მოქმედებას იწვევს ჭამიდან 1-2 საათის შემდეგ. ავადმყოფი აგზებულია, აქს ცრემლის და ნერწყვის გაძლიერებული დენა, პირდებინება, წყურვილი, კანკალი, ფაღარათი, ოფლიანობა. მაჯა გაიშვიათებულია. ბრონქების შევიწროების გამო სუნთქვა გაძნელებულია. მძიმე შემთხვევებში შეიძლება განვითარდეს არტერიული წნევის მკვეთრი დაჭვეოთება და სიკვდილი.

ექიმის მოსვლამდე ავადმყოფს საჩიროა ამოვურეცხოთ კუჭი სუსტი სოდის სხნარით. გაფუკეთოთ გამწმენდი ოყნა და მივცეთ საფარარათო ზეთი ან მარილი. დაკარგული სითხის აღსადგენად, მიუხედავათ ხშირი პირდებინებისა, მცირე ყლუპებით უნდა ვასვათ მარილიანი წყალი (ნახევარი ჩაის კოვზი სუფრის მარილი 1 ჭიქა წყალზე) ავადმყოფი სასრაფოდ უნდა გადავიყვანოთ საავადმყოფოში.

## რეანიმაცია

არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც ჯანმრთელი ადამიანი რამდენიმე წუთის ან საათის განმავლობაში იღუპება. ასეთი უეცარი სიკვდილის ყველაზე ხშირი მიზეზია გულის იშემიური დაავადება- კითარდება გულის კუნთის ინფაქტი. უეცარი სიკვდილის მიზეზი შეიძლება იყოს ფილტვის არტერიის დახშობა, თავის ტვინში სისხლის მმიმოქცევის მწვავე მოშლილობა, მძიმე ინფექციები და ვირუსული დაავადება, მოწამლა, მძიმე მექანიკური და ელექტროტრამვა.

უეცარი სიკვდილის დროს ადამიანის გადარჩენა შესაძლებელია, თუკი დროულად გამოყენებული იქნება სათანადო სამ-

კურნალო ღონისძიებები- რეანიმაციის კომპლექსი, რასაც ახორციელებენ სასწრაფო სამედიცინო სპეციალიზებული ბრიგადის ან საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების მუშაკები. დადგბითი შედეგის მიღწევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დახმარების აღმოჩენას პირველ წუთებშივე, ვინაიდან ამ დროს ექიმი არ იმყოფება შემთხვევის ადგილზე, რეანიმაციული ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია გულის მუშაობისა და სუნთქვის აღდგენისაკენ, ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს.

სიკვდილს ორი სტადია აქვს. დასაწყისში-ე.წ. კლინიკური სიკვდილის დროს, გაჩერებულია სუნთქვა და გულისცემა, სისხლის წნევა არ ისაზღვრება, მაგრამ ქსოვილთა, კერძოდ, ცენტრალური ნერვული სისტემის სიცოცხლისუნარიანობა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია და 5-8 წელის განმავლობაში ადამიანის გაცოცხლება შესაძლებელია. რეანიმაციული ღონისძიებები სწრაფად უნდა ჩატარდეს, თუ ამ ხნის განმავლობაში გაცოცხლება ვერ მოხერხდა ვითარდება ბიოლოგიური სიკვდილი. ორგანიზმის რეანიმაციის-გაცოცხლების ღონისძიებები უნდა ჩატარდეს აგრეთვე სუნთქვისა და გულის მუშაობის მძიმე დარღვევის შემთხვევაშიც.

პირველ რიგში საჭიროა (თუკი შესაძლებელია), დამაზიანებული ფაქტირის მოქმედების შეწყვეტა: ელექტროდენის გამოთიშვა, დამხრხობი საგნის ან სიმძიმის მოცილება, სუფთა პაერზე გაყვანა და სხვ. აუცილებელია სასუნთქი გზების გამონთავისუფლება-დაზარალებულს მაშინვე უნდა გამოვუწინდოთ პირის ღრუ, ამოვუწიოთ ავადმყოფს ენა, დავიწყოთ გულის ფუნქციისა და სუნთქვის აღდგენა-გულის გარეგანი მასაჟი და სელოვნური სუნთქვა.

## გულის მასაჟი

სხვადასხვა მიზეზით გულის გაჩერების დროს გულის მუშაობის აღსაღებენად აუცილებელია გულის გარეგანი მასაჟის ჩატარება. გულის გაჩერების ყველაზე ხშირი მიზეზია გულის კუნთის ინფაქტი, ელექტროტრამვა, მძიმე ფიზიკური ტრამვა, მოწამვლა და სხვ.

გულის გარებანი მასაჟის დროს გულმკერდზე რითმული მექანიკური ზეწოლის შედეგად გულის ღრუებიდან სისხლი სისხლძარღვებში გადადის. ზეწოლის შეწყვეტის შემდეგ პი გული იბრუნებს პირვანდელ ფორმას და შეიწოვს სისხლს ვენებიდან. მასაჟის შედეგად შესაძლებელია გულის მუშაობის ან ნაწილობრივ ძირითადი სასიცოცხლო ორგანოების სისხლით მომარაგების აღდგენა, რაც ახანგრძლივებს კლინიკური სიკვდილის პერიოდს და შესაძლებელი ხდება კვალიფიციური სარეანიმაციო დონისძიებების ჩატარების მიზნით ავადმყოფის პოსპიტალიზაცია.

ტერმინალური მდგომარეობის დროს ორგანიზმის ფუნქციების აღსადგენათ დიდი მნიშვნელობა აქვს გულის მასაჟის, როცა გული თავის მუშაობას უეცრად წევეტს სხვადასხვა მიზეზის გამო. იგი ხორციელდება გულზე უშუალო და არაუშუალო ზემოქმედებით. არაუშუალო მასაჟი კეტდება გულმკერდის გაუხსნელად გარედან და ამიტომ მას ზოგჯერ დახურულ მასაჟს უცოდებენ, ხოლო უშუალო, ანუ პირდაპირი, მასაჟი კეოდება გულმკერდის გახსნით. მოზრდილებში არაუშუალო მასაჟი ეფექტურია გულმკერდის კუნთების ტონუსის დაჭვეითუბის შემდეგ.

გულის არაუშუალო მასაჟის მეთოდიკა: ავადმყოფი უნდა იწევს მაგარ და სწორ საწოლზე. რეანიმატოლოგი დგება ავადმკოფიდან მარცხენა მხარეს, მარცხენა ხელის გულს ათავსებს მკერდის ძვლის ქვედა მესამედში, მახვილისებრი მორჩიდან დაახლოებით 2-3 სმ ზემოთ სხეულის სირგძივი ღერძის პერპენდიკულარულათ. მარცხენა ხელის მტევნის ზურგის მხარეზე, მის პერპენდიკულარულათ, ადებენ მარჯვენა ხელის გულის პროქსიმალურ ნაწილს ისეთ მდგომარეობაში, რომ მტევნი დაჭიმულობისაგან გაშლილია სხივ-მაჯის სახსარში, თითები კი არ ეხება მარცხენა მტევნასა და გულმკერდს. მარჯვენა ხელით, მარცხენა ხელის მტევანზე და მისი საშუალებით გულმკერდზე მახვილისებრი მორჩის ზემოთ, ახდენენ რიტმულ ზეწოლას წუთში 60-ჯერ სიხშირით. ამ დროს სისხლი გროვდება და გამოიდევნება გულიდან. გულმკერდზე ზეწოლას ახდენენ სწრაფი მოძრაობით, მხრის სარტყლისა და მთელი სხეულის ჩართვით, ისე რომ გულმკერდმა ჩაიწიოს ხერხემლი-საკენ 3-4 სმ-ით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზეწოლა არ იქნება

საკმარისი გულის დრუეს სისხლისაგან დასაცლელად. გულმ-კერდის წინა კედლის საკმარისად ჩაწევის შემდეგ, ზეწოლას წყვეტებ და გულმკერდს აძლევენ გასწორების საშუალებას. შემდეგ ციკლს იმეორებენ.

გულის მასაჟი მიმდინარეობს ელექტროგარდიოსცოპზე, საძილე არტერიების პულსზე, გუგების სიფართოვეზე. დამოუკიდებელი სუნთქვის მდგომარეობაზე განუწყვეტელი კონტროლით. თუ დამოუკიდებელი სუნთქვა არ არის ან არაადექვატურია, გულის ხელოვნურ მასაჟთან ერთად ატარებენ ფილტვების ხელოვნურ ვენტილაციასაც. ამ დროს რეკომენდებულია ჰაერის ჩაჭირების სიხშირე (ხელოვნური შესუნთქვა) იუს წუთში 12, ანუ ერთი ჩაბერვა გულმკერდზე ხუთჯერ ზეწოლის შემდეგ (გულმ-კერდზე ზეწოლას ჩაბერვის დროს წყვეტენ).

გულის მასაჟის ეფექტურობის მაჩვნენბელია საძილე არტერიებზე პულსაციის გამოჩენა, ამასთან გუგების შევიწროება, ციანოზის დაკლება, არტერიული ცნევის 60 მმ-მდე ასვლა და სუნთქვითი პროცესის აღდგენა. სასწრაფო დახმარების ექიმი-სათვის უფრო ადვილია ჩაატაროს გულის არაუშუალო მასაჟი შემთხვევის ადგილზე ან გზაში, სასწრაფო დახმარების მანქანაში, სტაციონარში მისვლამდე.

## ხელოვნური სუნთქვა

ხელოვნური სუნთქვის ჩატარების წინ აგადმყოფს (დაზარალებულს) ვუსუვთავებთ პირის ღრუს, ვუწევთ ენას, ვაწვენთ მაგარ, სწორ ზედაპირზე, თავის უკან გადაწევის მიზნით ბეჭქეშ ვუდებთ რაიმე საგანს, ვიწყებთ ხელოვნურ სუნთქვის ჩატარებას.

პირით პირში სუნთქვის ჩატარებისას ერთი ხელით ვიჭერთ აგადმყოფის თავს, მეორე ხელით კი ვხურავთ ცხვირის ნესტოებს, მივიფარებთ ცხვირსახოცს და დრმად ჩაგბერავთ დაზარალებულს პირში.

პირით ცხვირში სუნთქვის ჩატარების დროს დაზარალებული იგვევ პოზაშია, მხოლოდ ცხვირის ნაცვლად ეხურება პირი და წარმოებს ჩაბერვა.

ჩაბერვას აწარმოებენ რითმულად, წუთში 15-18 სიხშირით, ან გულის 5 მასაჟზე ერთი ხელოვნური სუნთქვა.

ხელოვნური სუნთქვა გულის გარგან მასაჟთან ერთად ეფექტური ღონისძიებაა, შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ სიტუაციაში და საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში ავაღმყოფი გადაყვანილ იქნეს მართულ სუნთქვაზე ხელოვნური სუნთქვის აპარატით, რომლებითაც ადჭურვილია სასწრაფო დახმარების ბრიგადები და სტაციონრები.

ამიტომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოსვლამდე დრო მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული პირველადი რეანიმაციისათვის.

გარეგან მასაჟთან ერთად აუცილებელია ხელოვნური სუნთქვის ჩატარება მეოთხით “პირით პირში” ან “პირით ცხვირში”. გულის მასაჟის და ხელოვნური სუნთქვის შეფარდებათ 1:5; 1:4-გულის 5 მასაჟი ერთი ხელოვნური სუნთქვა.

რეანიმაციული ღონისძიებები ტარდება მანამ, სანამ არ გამოჩნდება პელსი და აღდგება სუნთქვა. თუ 15-20 წუთის შემდეგ სიცოცხლის ნიშნები არ გამოჩნდა მასაჟის გაგრძელებას აზრი არ აქვს.

## ელექტროტრამპა

ელექტროტრამპა ხშირად მიზეზია ელექტროდენის გაუფრთხილებლად ხმარებისა. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია დაზიანებულს პირველ რიგში მოვაცილოთ დენის მოქმედება.

1. უნდა გამოირთოს დენი, თუ ეს შეუძლებელია, საჭიროა ხაზის გაწყვეტა. ამისათვის დამხმარებ უნდა ჩაიცვას რეზინის ფეხსაცმელები და ხელთათმანები. ზოგჯერ სასწრაპო სამედიცინო დახმარების მანქანის მოსვლამდე დამხმარე პირები დაზიანებულს მიწაში ფლავენ, ეს არამც თუ სასარგებლოა, არამედ საზიანოა და დაუშევებელი.

- დენის მოქმედებისაგან განთავისუფლებისთანავე ავადმკოპი უნდა დათვალიერდეს და ადგილზევე გაეწიოს პირველადი დახმარება (სისხლდენის შეჩერება, შეხვევა, მობილიზაცია, საგულე საშვალებანი, ჟანგბადის მიცემა სათანადო ჩვენების მიხედვით) საჭიროა აგრეთვე თბილი სითხის მიცემა და სითბო.
- თუ ავადმყოფის დათვალიერებისას აგმოჩნდა, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია, სასწრაფოდ უნდა მივმართოდ ხელოვნურ სუნთქვას მანამ, სანამ არ აღსდგება სუნთქვა.

სასურველია ხელოვნური სუნთქვა “პირით პირში” ან “პირით ცხვირში”, ამასთან უნდა გაკეთდეს ძლიერი გულის არაპირ-დაპირი მასაჟი.

ზემოაღნიშნულის გარდა, აუცილებელია დაზიანებულის ადრეული ჰოსპიტალიზაცია.

თუ ავადმყოფს აღენიშნება ციანოზი, საჭიროა გაუკეთდეს ვენასექცია 100-150,0 სისხლის გამოშვებით. ასფიქსიის მოვლენების დროს სასურველია სხეულის გათბობა, დაზელვა აგრეთვე სისხლის გადასხმა 250,0 რაოდენობით

## საყლაპავი მიღისა და პუშის პადლის დამზრობა

საყლაპავი მიღისა და პუშის კედლის დამზრობა უმთავრესად გვხვდება ძლიერ მქავე ან ტუტიან ხენსრების უეცარი მიღებისას. (ხშირია ბავშვებში და პირებში რომლებთაც აგენიშნებათ გაუკუდმართებული ყნოსვა) ამ დროს უფრო ადრე ზიანდება ფიზიოლოგიური შევიწროების ადგილები. მქავე ხენარების დალევის დროს ნეკროზი (ქსოვილის კვდომა) შეიძლება არ გავრცელდეს ყველა შრეზე, ტუტიანი ხენარების დალევისას კი პათოლოგიური პროცესი უფრო დრმად ვითარდება და ხშირად ნეკროზი სხეულის ყველა შრეზე ვრცელდება.

საყლაპავი მიღის დამზრობის დროს აღინიშნება მწვავე ტივივილი გულმკერდის შიგნითა და უპანა ზედაპირზე, საყლაპავის საპროექტო არეში. გაძნელებულია ყლაპა. ზოგჯერ ადგილი აქვს საყლაპავიდან სისხლდენას.

აღინიშნება სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის მოშლა, ხოლო შედარებით მოგვიანებით პერიოდში შეიძლება აღინიშნოს კოლაფსი. კუჭის დამწვრობის დროს აღსანისნავია სისხლიანი, მუქი ფერის დებინება, თუ მოწამელა ძმრის ან აზოგის მუავით არის გამოწვეული, დამახასითებელია სპეციფიკური სუნი პირიდან და პირნადებ სითხეში. პირის დრუ და ხახა პიპერების მიული (შეწიოთლებული, სისხლსაგსე), ძლიერ შეშუქებულია და უმთავრესად მოწითალო-მორუხო ფერისაა. კუჭის დამწვრობის დროს დამახასიათებელია აგრეთვე მწვავე ხასიათის ტკიფილი ეპიგასტრიუმის (ძირითადად მუცელის) მიდამოში, ზოგჯერ კი კუნთების დაჭიმულობა, ანუ დეფანსი. დაზიანებულს გადაუდებელი დახმარება უნდა ჩაუტარდეს დაახლოებით 5-დან 6-სთ-მდე.

საჭიროა კუჭის ამოერცხვა თბილი წყლით, მოგვიანებით წარმოებული ამორეცხვები უშედგენა. საჭიროა მიეცეს ანალ-გეტიკები (ტკიფილგამაუზებელი), ადგილობრივი გამაყუჩებელი საშვალებები, დასალევად-რძე და მზესუმზირის ზეთი. კანქვეშ უნდა გაუკეთდეს კოფეინი, ქაფური, ფიზიოლოგიური სსნარი, გლუკოზა და სხვა საჭირო საშვალებები.

ასეთი ავადმყოფი საჭიროებს სტაციონარში სასწრაფო გადაფანას, ტრანსპორტირების დროს კი ყურადღება უნდა მიექცეს სასუნთქ და გულ-სისხლძარღვთა სისტემას.